ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

Georgia. The Assembly of Mestia Municipality

დ.მესტია 27.12 .2021 წ.

საქართველო, დ.მესტია. სეტის მოედანი #1
ტელ: (995) 99 85 55 40
ელ.ფოსტა: mestiis.mun@gmail.com
www.mestia-sakrebulo.ge

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება №90
მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს „მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამები“ დანართი №1-ის შესაბამისად. **(დანართი: 18 ფრ);**

2.აღნიშნული პროგრამის შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. განკარგულება ამოქმედდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 54–ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაცნობისთანავე;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12).

იგორ რატიანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის მოადგილე მ/შ

დანართი №1

მესტიის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის 2022 წლის მუნიციპალური პროგრამები

ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა

(პროგრამული კოდი- 06 02 01)

1. პროგრამის სახელწოდება: ბავშვთა და შშმ. პირთა სოციალური დაცვა , რომელშიც შედის - ახალშობილების , მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების/ ბავშვების, მრავალშვილიანი და მარჩენალდაკარგული ოჯახების (რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის შვილები) , ერთჯერადი (ფულადი) დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი---40 000 (ორმოცი ათასი) ლარი.

I კვარტალი --20 000 (ოცი ათასი) ლარი

II კვატალი-- 10 000 (ათი ათასი) ლარი

III კვარტალი--5 000 (ხუთი ხუთასი) ლარი

IV კვარტალი --5 000 (ხუთი ხუთასი) ლარი

3. პროგრამის დაფინანსების წყარო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი .

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

5. პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრები და რეგისტრირებული ახალშობილებისთვის საჩუქრის სახით, ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა მუნიციპალიტეტში არსებული დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის და ბავშვებისთვის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ერთჯერადი ფულადი დახმარება, მარჩენალდაკარგული და მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფად, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

6 . დახმარების გაცემის წესი:

ფულადი დახმარების გაცემა და თანხის ჩარიცხვა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე ან გამონაკლისის შემთხვევაში, მოქალაქის ჯანმრთელობის

მდგომარეობიდან გამომდინარე შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში , თანხა ჩაერიცხება მის ოჯახის წევრს.

7. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

1. მარჩენალდაკარგული ოჯახები რომლებსაც ჰყავთ არასრულწლოვანი შვილი (შვილები) ერთჯერადი მატერიალლური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და ბავშვები (18 წლამდე) ერთჯერადი მატერიალლური დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

3. ახალშობილები - ერთჯერადი მატერიალლური დახმარება, პირველ ბავშვზე - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, მეორე ბავშვზე -200 (ორასი) ლარი, და ყოველ მომდევნო ბავშვზე აღნიშნულ თანხას დაემატება დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით.

4. მრავალშვილიანი ოჯახები - ერთჯერადი მატერიალლური დახმარება 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

8. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებები.

1. მარჩენალდაკარგული ბავშვის ერთ-ერთმა მშობელმა ან მეურვემ მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბავშვის (ან ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ბავშვის შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის განყოფილებიდან) ან მშობლის (მშობლების) გარდაცვალების მოწომბის ასლი.

ე) დედ-მამით ობოლი ბავშვების შემთხვევაში დამატებით – მეურვის პირადობის მოწმობის ასლი და მეურვეობის დამადასტურებელი ცნობა;

ვ) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) შემთხვევაში მეურვემ/მშობელმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ბავშვის შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის განყოფილებიდან)

ე) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

3. მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირმა (ან მისი ოჯახის წევრმა) მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი სტატუსის დოკუმენტის ასლი ან ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის განყოფილებიდან;

დ) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

4. მრავალშვილიანმა (5 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებმა და რეგისტრირებულმა ოჯახმა, მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) ბავშვების დაბადების მოწმობის ასლები;

დ) ქორწინების მოწმობის ასლები (არსებობის შემთხვევაში);

ე) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

5. ახალშობილის მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებმა და რეგისტრირებულმა ოჯახმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) მშობლების პირადობის მოწმობის ასლები;

გ) ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლი;

ე) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა (საჭიროების შემთხვევაში) ;

ვ) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

9. მოსალოდნელი შედეგი

პროგრამის განხორციელების შედეგად: უკეთესობისკენ შეიცვლება სოციალური ფონი, ხელი შეეწყობა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა.

სოციალურად დაუცველის ,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული -დევნილის სტატუსის , ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების სოციალური დაცვა

პროგრამის კოდი (06 02 02)

1. პროგრამის სახელწოდება:

სოციალურად დაუცველის , შშმ. ან იძულებით გადაადგილებული -დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების პირების სოციალური დაცვა - რომელშიც შედის : სოციალურად დაუცველის ,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული -დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება / დახმარება .

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი- 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარი;

I კვარტალი --100 000 (ასი ათასი) ლარი.

II კვატალი --100 000 (ასი ათასი) ლარი.

III კვარტალი --25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

IV კვარტალი --25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი.

3. პროგრამის დაფინანსების წყარო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი.

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

5. ზოგადი ნაწილი:

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები, სოციალურად დაუცველის -0-დან 100 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარებს ან იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის ,ჯანმრთელობის პრობლემების მქონე (მათ შორის შშმ. პირი) პირების , მაღალმთიან რეგიონში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური და ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩასატარებელი სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება.

დახმარება გაეწევათ შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ხარჯაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისის) მიხედვით მითითებულ საბანკო ანგარიშზე , აქედან 0-დან 30 001-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე ხანდაზმულ ან მარტოხელა იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბენეფიციარებს მათი სურვილის შემთხვევაში შესაძლებლობა

ექნებათ, აღნიშნული დახმარება გაეწიოთ უნაღდო ანგარიშსწორების გზით პირად საბანკო ანგარიშზე. დახმარების/დაფინანსების/თანადაფინანსების თანხა- არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში.

6. პროგრამის მიზანი:

პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები ან რეგისტრირებული სოციალურად დაუცველის ,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული -დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის ან სამედიცინო რეაბილიტაციის მიზნით სამედიცინო მომსახურების გამწევის მიერ პაციენტისათვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების თანადაფინანსება, შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ფორმა N100 -ისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისის) მიხედვით .

7. მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

ადგილობრივ თვითმმართველობაში შემოსული მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები. მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, მცხოვრები, სოციალურად დაუცველის - 0-დან 100 000-მდე სოციალური სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარების, სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე მარტოხელა ხანდაზმულ ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ან იძულებით გადაადგილებული პირების ჯანმრთელობის პრობლემების მოქნე პირთა (მათ შორის შშმ.პირი) დახმარების კატეგორიით შემოსულ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

ა) განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (და ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) 1. სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე პრის შემთხვევაში - სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა .

2.იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირის შემთხვევაში - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა.

დ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ–ფორმა №100/ა ან შშმ. სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ე) 1. შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო, აფთიაქი) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების შესახებ გაცემული ინვოისი, ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი .

2. პირად ანგარიშზე ჩარიცხვის შემთხვევაში - პირადი ანგარიშის რეკვიზიტები ბანკიდან.

ვ) მარტოხელა დევნილის სტატუსის მქონე ავადმყოფის შემთხვევაში , მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლისგან გაცემული მარტოხელობის დამადასტურებელი ცნობა .

8. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

სოციალურად დაუცველის სტატუსის ან იძულებით გადაადგილებული - დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები (მათ შორის შშმ. პირი/მატოხელა სოც. დაუცველი ხანდაზმული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირები).

9. პროგრამის განხორციელების მექანიზმი:

სოციალური დაცვის სამსახური პერიოდულად იხილავს სოციალური სუბსიდიების სააგენტოში რეგისტრირებულ, სოციალურად დაუცველის,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების დაბალშემოსავლიან ოჯახთა განცხადებებს, დახმარების ან თანადაფინანსების გაწევის თაობაზე, ადგენს მათ უტყუარობას, ინდივიდუალურად შეისწავლის თითოეული მოქალაქის განცხადებას, რის საფუძველზეც განსაზღვრავს ერთჯერადი ფულადი დახმარების/დაფინანსების/თანადაფინანსების რაოდენობას, პროგრამით გათვალისწინებული ან შესაბამისი დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების შესახებ გაცემული ფორმა N100-ისა და ინვოისის მიხედვით.

10. დახმარების გაცემის წესი:

ა) ა) 0-დან 30 001-მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარს ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის მქონე ავადმყოფების შემთხვევაში ფულადი დახმარების გაცემა, თანხის ჩარიცხვა განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო, აფთიაქი) დაფინანსება /თანადაფინანსების თანხა არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში ან განმცხადებლის პირად საბანკო ანგარიშზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

ბ) 30 001-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარის ან იძულებით გადაადგილებული პირის -დევნილის სტატუსის მქონე ავადმყოფების შემთხვევაში ფულადი დახმარების გაცემა, თანხის ჩარიცხვა განხორციელდება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო, აფთიაქი) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების ან მედიკამენტების შესახებ გაცემული ინვოისის მიხედვით. დაფინანსების/თანადაფინანსების თანხა - არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს.

გ) სოციალურად დაუცველის სტატუსის 0-დან 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მარტოხელა ხანდაზმულ ბენეფიციარებს (მათ შორის დევნილის სტატუსის მქონე) ფულადი დახმარება ჩაერიცხებათ მათი სურვილის გათვალიწინებით პირად საბანკო ანგარიშზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით ან შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო, აფთიაქი) ანგარიშზე ,დაფინანსება /თანადაფინანსების თანხა არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში

11. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება სოციალურად დაუცველის,შშმ. ან იძულებით გადაადგილებული -დევნილის სტატუსის, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირების , დაბალშემოსავლიანი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, ასევე გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში, მედიკამენტების შეძენასა და შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღებაში.

ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

(პროგრამული კოდი 06 02 03)

1.პროგრამის სახელწოდება: ვეტერანთა და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა

რომელშიც შედის:

- ✓ სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა, ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.
- ✓ ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირების, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.
- ✓ ხანდაზმულთა (90 და მეტი წლის უხუცესები) ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.
- ✓ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი---10 000 (ათი ათასი) ლარი

I კვარტალი -- 5 000 (ხუთი ათასი) ლარი.

II კვატალი -- 2 000 (ორი ათასი) ლარი.

III კვარტალი --1 500 (ათას ხუთასი) ლარი.

IV კვარტალი --1 500 (ათას ხუთასი) ლარი.

3. პროგრამის დაფინანსების წყარო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი.

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

5. პროგრამის აღწერა:

1) სარიტუალო მომსახურების გაწევა:
დაღუპული (გარდაცვლილი) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და , სამშვიდობო მისიებში საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, სამხედრო სამსახურის ვეტერანების დაღუპული (გარდაცვლილი) ვეტერანის ოჯახის წევრებს ეძლევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება დაკრძალვისათვის.

იძულებით გადაადგილებულ პირების სტატუსის მქონე დევნილის დაღუპვის (გარდაცვალების) შემთხვევაში , დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის წევრებს ეძლევათ ერთჯერადი ფულადი დახმარება დაკრძალვისათვის ხარჯების დასაფარად.

2) ერთჯერადი ფულადი დახმარება:

ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ვეტერანებზე, მესტიის მუნიციპალიტში მცხოვრები 90 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი)დახმარების გაწევა.

6. პროგრამის მიზნები

აღნიშნული პროგრამის მიზანია სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდგომ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი) დახმარების გაწევა. ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ ვეტერანებზე და მესტიის მუნიციპალიტში რეგისტრირებული და მცხოვრები 90 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა.

7. პროგრამის შედეგები

თითოეულ დაღუპულ ომის მონაწილე ვეტერანსა და იძულებით გადაადგილებულ პირზე სარიტუალო მომსახურების გაწევა - 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ომის მონაწილე და ომის მონაწილეებთან გათანაბრებულ პირებზე ერთჯერადი დახმარების გაწევა- 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მესტიის მუნიციპალიტში მცხოვრებ უხუცესებზე (90 და მეტი წლის ასაკის) ერთჯერადი დახმარების გაწევა – 150 (ასი) ლარის ოდენობით

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად — საჩუქრის სახით, ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაწევა - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

8 . პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) რაოდენობა და კატეგორია

პროგრამით გათვალისწიბენული დახმარება სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შემდეგ გარდაცვლილი მეომრები: სარიტუალო თანხები, თითოეულ ვეტერანზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

იძულებით გადაადგილებული პირები სარიტუალო თანხები, თითოეულ დევნილზე 250 (ორას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

ომის მონაწილე ვეტერანები და ომის მონაწილეებთან გათანაბრებული პირები ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები უხუცესები (90 და მეტი წლის) ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა 150 (ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად – საჩუქრის სახით, ერთჯერადი მატერიალური (ფულადი)- საჩუქრის სახით, ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაწევა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.

9.პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

ადგილობრივ თვითმმართველობის მერიაში შემოსული განცხადებები.

განცხადებას თან უნდა ერთვოდეს:

სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების შეთხვევაში:

ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანის შემთხვევაში:

ა) ვეტერანის დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის წევრის, განმცხადებლის

პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი

გ) ვეტერანის გარდაცვალების მოწმობის ასლი

დ) განმცხადებლის ანგარიშის რეკვიზიტები ბანკიდან.

გ) განცხადება მერის სახელზე.

იძულებით გადაადგილებული პირის შემთხვევაში:

ა) იძულებით გადაადგილებულ პირების სტატუსის მქონე პირის, დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის წევრის, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

გ) იძულებით გადაადგილებული პირის გარდაცვალების მოწმობის ასლი.

დ) განმცხადებლის ანგარიშის რეკვიზიტები ბანკიდან.

ე) განცხადება მერის სახელზე.

ომის მონაწილე და ომის მონაწილესთან გათანაბრებული პირის შემთხვევაში:

ა) ვეტერანის, განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

დ) ანგარიშის რეკვიზიტები ბანკიდან.

ე) განცხადება მერის სახელზე.

ხანდაზმულების შემთხვევაში:

ა) განმცხადებლის (ხანდაზმულის) პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ანგარიშის რეკვიზიტები ბანკიდან.

გ) განცხადება მერის სახელზე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიღების შედეგად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერნების, „ვეტერანების დღის" (17 ოქტომბერი) აღსანიშნავად –შემთხვევაში:

ა) ვეტერანის პირადობის მოწმობის ასლი.

ბ) ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

გ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლისა და სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების დამადასტურებელი მოწმობა.

დ) ანგარიშის რეკვიზიტები ბანკიდან.

ე) განცხადება მერის სახელზე

10.მოსალოდნელი შედეგები:

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის პირების სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

(პროგრამული კოდი 06 03)

1. პროგრამის სახელწოდება: მესტიის რაიონის ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

ზოგადი ნაწილი:
მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახებისა და ბავშვების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა, რომელშიც შედის შემდეგი კატეგორიები: ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები და მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა დაფინანსება/თანადაფინანსება, ასევე ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება, მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის (პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით) გამოლკვლევების თანადაფინანსება და ასევე სხვადასხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა სადიაგნოსტიკო/თერაპიული მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება. კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი---190 000 (ას ოთხმოცდაათი ათასი) ლარი

I კვარტალი --100 000 (ასი ათასი) ლარი

II კვატალი-- 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი

III კვარტალი--30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი

IV კვარტალი --30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი

3. პროგრამის დაფინანსების წყარო

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი .

4. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

5. პროგრამის შინაარსი:

პროგრამა ეხება:

- ✓ ონკოლოგიური ავადმყოფების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების , მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობის პროცესში , როდესაც ღირებულება სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში, განმეორებით, ეტაპობრივად დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა.

ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროცედურების დაფინანსება/თანადაფინანსება ვრცელდება ასევე იმ კატეგორიის ონკოლოგიურ ავადმყოფებზეც, რომლებიც სამედიცინო სერვისებს (მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობა) მიიღებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, სამედიცინო (საავადმყოფო) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. ხოლო საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.

- ✓ ონკოლოგიურ ავადმყოფებს და ფსიქიურად დაავადებულ პირებს, მათთვის ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა განსაზღვრულია არანაკლებ -100 (ასი) და არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.
- ✓ დიალიზით მოსარგებლე პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა განსაზღვრულია - 2 000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით (გადარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად).
- ✓ ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირებს ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევა განსაზღვრულია - 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით .
- ✓ მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციის დაფინანსება, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) შესაბამისად,ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) მიხედვით პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50 % -არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს. სოციალურად დაუცველის ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაში პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 70%, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს.
- ✓ სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება, უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების (შპს ,,მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანება) საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) შესაბამისად 100% - ის ოდენობით (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში გეგმიური ენდოსკოპიურ გამოკვლევა არ ფინანსდება).
- ✓ მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმმენტის (ინვოისი) შესაბამისად 70 % -ის ოდენობით,(C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70 %-ს). სოციალურად დაუცველი ოჯახების შემთხვევაში 30%-ის ოდენობით,(სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30 %-ს).
- ✓ მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის

მიზნით გამოკვლევების თანადაფინანსება, რომელშიც შედის ფარისებრი ჯირკვლის სადიაგნოზო ჰორმონული კვლევებიდან - თირეოტროპული ჰორმონის (TSH), პერიფერიული თავისუფალი თიროქსინის (FT4) და ანტი TPO გამოკვლევა). გამოკვლევების თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად. თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

- ✓ სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსება ითვალიწინებს, მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 2 -დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითრების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის (მ.შ.გამოყენებითი ქცევითი ანალიზის თერაპია, მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია, სენსორული თერაპია, არტ. თერაპია და სხვა) , სხავადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის დაფინანსება/თანადაფინასებას წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში (გადარიცხვა შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის/ინვოისის შესაბამისად).
- ✓ კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება ითვალისწინებს ,მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო) ექიმის დანიშნულებით ჩასატარებელი კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსებას. გამოკვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, დაფინანსება/თანადაფინანსების თანხით არაუმეტეს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარისა, დაფინანსება/ თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

6. პროგრამის მიზანი

- ✓ პროგრამის მიზანია ფინანსური მხარდაჭერა ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული ავადმყოფებისთვის ტრანსპორტირებისა და მკურნალობის ხარჯების დასაფარად. დიალიზის სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებული მომსახურეობა ფინანსდება სრულად და პაციენტის მხრიდან თანადაფინანსებას არ ითვალისწინებს, პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად მსურველმა სოციალური მომსახურების სააგენტოში უნდა წარადგინოს გეგმიური მომსახურების დოკუმენტების ნუსხა, რის შემდეგაც ხდება პაციენტის რეგისტრაცია დიალიზის მომლოდინეთა ცენტრში. ეს ყველაფერი დაკავშირებულია დროსთან და ტრანსპორტირების ხარჯებთან, პაციენტს კი მუდმივად ესაჭიროება აღნიშნული მომსახურეობის მიღება. ასეთივე პრობლემას აწყდებიან ონკოლოგიური და ფსიქიურად დაავადებული პირები. მიუხედავად იმისა, რომ მათი სამედიცინო მომსახურეობა ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში მესტიის მუნიციპალიტეტის საავადმყოფოში შესაბამისი აპარატურისა და სპეციალისტების არარსებობის გამო, სამედიცინო მომსახურების მისაღებად პაციენტებს უწევთ სხვადასხვა ქალაქებში გამგზავრება, რაც ხარჯებთან არის დაკავშირებული ამ ყველაფრის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია

აღნიშნული კატეგორიის ავადმყოფებისთვის დახმარების გაწევა (ტრანსპორტირების ხარჯების დასაფარად) აგრეთვე ცერებრალური დამბლით დაავადებულ პირებს გარკვეულწილად . სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ (სოციალურად დაუცველის სტატუსის მქონე) ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება 100% -ის ოდენობით (საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა არ აფინანსებს გეგმიურ ენდოსკოპიურ გამოკვლევას). მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება 70% -ის ოდენობით. C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში პაციენტთა მხრიდან თანაგადახდა შეადგენს 70%-ს, „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში" რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრებისთვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს, თანაგადახდა შეადგენს 30%-ს. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით გამოლკვლევების თანადაფინანსება, რომელშიც შედის ფარისებრი ჯირკვლის სადიაგნოზო ჰორმონული კვლევებიდან - თირეოტროპული ჰორმონის (TSH), პერიფერიული თავისუფალი თიროქსინის (FT4) და ანტი TPO გამოკვლევა). გამოკვლევების თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, ამ დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად. თანადაფინანსება განხორციელდება თანხით, რომლის დაფინანსებაც არ ხდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. ქირურგიული ოპერაცია- ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) მიხედვით პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50 %, სოციალურად დაუცველის ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაში პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 70%, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს. ასევე მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის მიზნით, სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა რომელიც ითვალიწინებს, მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 2 -დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითრების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის , სხავადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის, რომელიც მოიცავს ბავშვის მოტორული, შემეცნებითი, სოციალური განვითრების, თვითმოვლის და დამოუკიდებლად ფუნქციონირების დონის შეფასებას და ინდივიდუალური განვითარების შესაბამისად მოსარგებლისთვის სეანსის მიწოდებას, შესაბამისი სპეციალისტის (ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, ქცევითი თერაპევტი, ლოგოპედი, სპეც. პედაგოგი და სხვა) დაფინანსება/თანადაფინასებას, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში . ასვე ონკოლოგიური ავადმყოფების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების , მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობის პროცესში , როდესაც ღირებულება სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში, განმეორებით, ეტაპობრივად დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროცედურების დაფინანსება/თანადაფინანსება ვრცელდება ასევე იმ კატეგორიის ონკოლოგიურ ავადმყოფებზეც, რომლებიც სამედიცინო სერვისებს (მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობა) მიიღებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება უნაღდო

ანგარიშსწორების გზით, სამედიცინო (საავადმყოფო) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე. ხოლო საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე. კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა გულისხმობს, კოვიდის შემდგომი პრობლემების მქონე პირების,ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებების დროული გამოვლენისა და მკურნალობის მიზნით ფინსნურ მხარდაჭერას.

7. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად გაუმჯობესდება პროგრამაში მონაწილე ყველა კატეგორიის მათ შორის , ონკოლოგიური, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად, ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების , სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ და ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფების, რომლებსაც დაუფინანსდათ სამედიცინო მომსახურების ხარჯები სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, გათვალისწინებული დახმარება, დაფინანსება ან/და თანადაფინანსება გარკვეულწილად დაეხმარება მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებაში. ავადმყოფებს შეუმსუბუქდებათ ფინანსური პრობლემები, რადგან ხშირად სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სამგზავრო თანხის უქონლობის გამო ვერ ახერხებენ სხვა ქალაქში გამგზავრებას და შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში სამედიცინო კვლევების ჩატარებას. ასევე მნიშვნელოვანია ადრეული დიაგნოსტიკისა და მხარდაჭერის მიზნით, სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა რომელიც ითვალიწინებს, მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 2 -დან 18 წლამდე ასაკის აუტიზმის (ასა) სპექტრის და განვითარების სხვა დარღვევების მქონე ბავშვთა თერაპიის , სხავადსხა სახის გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა თერაპიის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვთა დიაგნოსტიკის დაფინანსება/თანადაფინასებას, პროგრამის განხორციელების შედეგად გაიზრდება ბენეფიციარების გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები, ასევე კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა დაეხმარება კოვიდის შემდგომი პრობლემების მქონე პირებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გართულებების დროულად გამოვლენაში და მკურნალობაში .

8 .მომხმარებელთა კატეგორია:

№	მომხმარებლის კატეგორია		

		რაოდენობა	პროგრამით (ქვეპროგრამით) გათვალისწინებული დახმარება
1	ონკოლოგიური და ფსიქიურად დაავადებული პირები		დახმარების გაწევა 100 (ასი) ლარიდან 500 (ხუთასი) ლარამდე
2	ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება/დაფინანსება		ონკოლოგიური ავადმყოფების ჯანმრთელობის გაუარესების შემთხვევაში, სამედიცინო მომსახურების , მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობის პროცესში , როდესაც ღირებულება სცილდება ჯანდაცვის სახელმწიფო დაფინანსების ლიმიტს სოციალური დახმარების განაწილების საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მკურნალობის პროცესში, განმეორებით, ეტაპობრივად დაფინანსების/თანადაფინანსების თაობაზე არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარისა. ზემოთ აღნიშნული სამედიცინო პროცედურების დაფინანსება/თანადაფინანსება ვრცელდება ასევე იმ კატეგორიის ონკოლოგიურ ავადმყოფებზეც, რომლებიც სამედიცინო სერვისებს (მათ შორის ქიმიო-თერაპიის, რადიოთერაპიის, მაღალ-ტექნოლოგიური კვლევებისა და სხივური თერაპიით მკურნალობა) მიიღებენ ქვეყნის საზღვრებს გარეთ. სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, სამედიცინო (საავადმყოფო) დაწესებულების მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშ - ფაქტურების შესაბამისად, სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე.

			ხოლო საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსება მოხდება ბენეფიციარის პირად საბანკო ანგარიშზე.
3	ცერებრალური დამბლით დაავადებული პირები		დახმარების გაწევა 1000 (ათასი) ლარი
4	დიალიზით მოსარგებლე პირები		დახმარების გაწევა 2000 (ორი ათასი) ლარი
5	ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება		ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) მიხედვით პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 50 % -არაუმეტეს 1000 (ათასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს. სოციალურად დაუცველის ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე პირების შემთხვევაში პაციენტის მიერ გადასახდელი თანხის 70%, არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, წლიური ლიმიტის ფარგლებში, რასაც სახელმწიფო პროგრამა არ აფინანსებს.

6	სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა ენდოსკოპიური გამოკვლევის დაფინანსება		ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) მიხედბვით მოთხოვნილი თანხის - 100 %-ის ოდენობით.
7	მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის დაფინანსება		ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) მიხედბვით მოთხოვნილი თანხის- 70 %-ის ოდენობით. სოც. დაუცველის სტ. მქ. პირებისთვის 30%.
8	მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვების ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით გამოლკვლევების თანადაფინანსება		სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის (ინვოისი) შესაბამისად. თანადაფინანსება შეადგენს თანხას, რომლის დაფინანსებაც არ ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

9	მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2- დან 18 წლამდე ასაკის სხვადსხვა სახის განვითარების, გონებრივი და ფიზიკური შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსება		წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად დაფინანსება/თანადაფინანსებით 2000 (ორი ათასი) ლარიანი ლიმიტის ფარგლებში.
10	კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო) , კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსება		წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის შესაბამისად დაფინანსება/თანადაფინანსების თანხით არაუმეტეს 350 (სამას ორმოცდაათი) ლარისა, რომლის დაფინანსებაც არ ხდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში.

9. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

1. ონკოლოგიური ავადმყოფების, დიალიზით მოსარგებლე, ფსიქიურად და ცერებრალური დამბლით დაავადებული პირების დახმარების პროგრამა

1.1. ონკოლოგიურმა ავადმყოფებმა და ფსიქიურად დაავადებულმა პირებმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ)სპეციალიტის მიერ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ–ფორმა№100;

დ) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

1.2. ბენეფიციარმა, რომელიც სარგებლობს დიალიზის პროგრამით და გადაადგილდება პროცედურის ჩასატარებლად მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ)სპეციალიტის მიერ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ–ფორმა№100;

დ) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

1.3. ცერებრალური დამბლით დაავადებულმა პირებმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ)სპეციალიტის მიერ სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ–ფორმა№100;

დ) განმცხადებლის საბანკო პირადი ანგარიშის ნომერი.

2. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა

2.1. მოსახლეობის, მათ შორის სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი ან ომის მონაწილე ვეტერანის სტატუსის მქონე ავადმყოფთა ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება.

1. ბენეფიციარმა, რომლის სამედიცინო მომსახურება არ ფინანსდება ან ნაწილობრივ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში, მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ–ფორმა №100;

დ) შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი);

ე) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი (გეგმიური სამედიცინო მომსახურებისას) ან ცნობა.

ვ) დაბადების მოწმობის ასლი(საჭიროების შემთხვევაში);

ზ) სოციალურად დაუცველის სტსტუსის მქონე ბენეფიციარის შემთხვევაში, ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის რაიონული განყოფილებიდან/ ომის მონაწილე ვეტერანის შემთხვევაში ვეტერნობის დამადასტურებელი მოწმობა.

2.2. ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება/დაფინანსების პროგრამა:

ონკოლოგიურმა ავადმყოფებმა ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა სამედიცინო მომსახურების დაფინანსების/თანადაფინანსების მისაღებად მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (და ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ – ფორმა №100;

დ) შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ , სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი)/კალკულაცია);

ე) საყოველთაო ჯანდაცვის მართვის დეპარტამენტის მიერ გაცემული საგარანტიო წერილის ასლი (გეგმური სამედიცინო მომსახურებისას) ან ცნობა;

ვ) საზღვარგარეთ სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, დაფინანსება/თანადაფინანსების შემთხვევაში ბენეფიციარის (ან მისი კანონიერი წარმომადგენლის) პირადი საბანკო ანგარიში.

2.3. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ C ჰეპატიტით დაავადებულთა გამოკვლევის თანადაფინანსების პროგრამა.

3. ბენეფიციარმა, მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ– ფორმა№100;

დ) შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი);

ე) კალკულაცია;

2.4. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ სოციალურად უმწეო მდგომარეობაში მყოფ ავადმყოფთა გეგმიური ენდოსკოპიური გამოკვლევის თანადაფინანსების პროგრამა.

3. ბენეფიციარმა, მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ– ფორმა№100;

დ) შესაბამისი დაწესებულების (შპს „მესტიის საავადმყოფო ამბულატორიული გაერთიანება) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი);

2.5. მესტიის მუნიციპალიტეტში მუდმივად მცხოვრებ და რეგისტრირებულ 0 დან 18 წლამდე ასაკის სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიათა ადრეული გამოვლენის მიზნით გამოკვლევების თანადაფინანსების პროგრამა.

4. ბენეფიციარმა მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის (და ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) სამედიცინო დაწესებულებიდან გაცემული ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ– ფორმა№100;

დ) შესაბამისი დაწესებულების (საავადმყოფო) მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი);

2.6. სხვადსხვა სახის გონებრივი და ფიზიკური განვითრების შეფერხების მქონე ბავშვთა დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა.

ბენეფიციარის ერთ-ერთმა მშობელმა (ან უფლებამოსილმა წარმომადგენელმა) მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს :

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლი;

დ) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100;

ე) შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი);

2.7. კოვიდ (COVID-19) გადატანილი პირების (მათ შორის სავარაუდო), კოვიდის შემდგომი სამედიცინო კვლევების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა.

ბენეფიციარმა (ანერთ-ერთმა მშობელმა/უფლებამოსილმა წარმომადგენელმა) მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს :

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ბენეფიციარის პირადობის მოწმობის ასლი;

დ) 18 წლამდე ბენეფიციარის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი;

ე) ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ-ფორმა N100;

ვ) შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტი (ინვოისი);

10.მოსალოდნელი შედეგები:

აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორიის პირების ჯანმრთელობისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარება

(პროგრამული კოდი 06 04)

1.პროგრამის სახელწოდება:

სტიქიით (მათ შორის ხანძრით) დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი- 124 000 (ასოცდაოთხი ათასი) ლარი.

I კვარტალი --80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი.

II კვატალი --20 000 (ოცი ათასი) ლარი.

III კვარტალი --10 000 (ათი ათასი) ლარი.

IV კვარტალი --14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

6. პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარების გაწევა მათთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.

7. პროგრამის შინაარსი:

პროგრამა ეხება სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებულ ოჯახებს. დაზარალებული ოჯახებისთვის დახმარების გაწევა ხდება სოციალური დახმარების გაცემის საბჭოს წევრთა მიერ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შესწავლის შემდეგ, არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, თანხის რაოდენობის განსაზღვრისას დახმარების გაცემის საბჭოსთან ერთად გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.

8. პროგრამის განხორციელების მექანიზმი:

განცხადებების (თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად) უტყუარობის შესწავლა ხდება მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დახმარების გაცემის საბჭოზე განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებით.

9. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

1. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახები:ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა- 500ლარიდან 5000 ლარამდე.

I კატეგორია -სახლი მთლიანად (100 %) დაზიანებულია (განადგურებულია) ხანძრის შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არაუმეტეს 5000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით;

II კატეგორია - სახლის ნახევარი (50 %) დაზიანებულია (განადგურებულია) ხანძრის შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არანაკლებ - 2000 (ორი ათასი) ლარის, არაუმეტეს 2 500 (ორი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;

III კატეგორია - სახლი ან დამხმარე ნაგებობა ნაწილობრივ დაზიანებულია ხანძრის შედეგად, დახმარებების ოდენობა დამდგარი ზიანის მიხედვით განისაზღვროს არანაკლებ - 500 (ხუთასი) ლარის, არაუმეტეს 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.

2. სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული პირები:
ერთჯერადი მატერიალური დახმარების - 500ლარიდან 2000 ლარამდე.

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

1. სტიქიის შედეგად (მათ შორის ხანძარით) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ საცხოვრებელზე მიყენებული ზარალისათვის დაზარალებულმა მოქალაქემ ან მისი ოჯახის სრულწლოვანმა წევრმა , მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარმოადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
ბ) განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
გ) ხანძრის შემთხვევაში – სახანძრო-სამაშველო სამსახურიდან შესაბამისი აქტის (დედანი) ;
დ) დაზიანებული (ან დამწვარი) შენობა-ნაგებობის ფოტოსურათი;

ე) საბანკო დაწესებულებაში დახმარების მიმღებ პირზე გახსნილი ანგარიშის რეკვიზიტები.
ვ) შენობა-ნაგებობის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი, საჯარო რეესტრის ამონაწერი (არარეგისტრირებული შენობა-ნაგებობის შემთხვევში წარმოსადგენია, ტერიტორიულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი, შენობა-ნაგებობის ფაქტობრივი ფლობის შესახებ).

2. სტიქიის შედეგად დაზარალებულთა საკითხის განხილვას, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, თან უნდა ახლდეს სტიქიური მოვლენის შედეგად მიღებული ზარალის შემფასებელი საბჭოს ან მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის დასკვნა ფოტომასალასთან ერთად.
3.ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, დაზარალებულის პირად საბანკო ანგარიშზე.

4. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ოჯახი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან ჩაითვლება დაკმაყოფილებულად და განმეორებით ვეღარ ისარგებლებს აღნიშნული კატეგორიით გათვალისწინებული დახმარებით.

11. მოსალოდნელი შედეგები:

სტიქიით, მათ შორის ხანძრით დაზარალებული ოჯახებისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ერთჯერადი (ფულადი) დახმარების გაწევა დაზარალებული ოჯახების პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთების შეძენის მიზნით.

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა

(პროგრამული კოდი 06 06)

1.პროგრამის სახელწოდება:

მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული უსახლკარო პირების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა.

2. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი- 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური.

6. პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის დახმარება და სათანადო საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა .

7. პროგრამის შინაარსი:

უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში შესაბამისი კომსია შეისწავლის მესტიის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თითოეული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახის შემადგენლობას, სოციალურ ეკონომიკურ მდგომარეობას, უსახლკარობის გამომწვევ მიზეზებსა და გარემოებებს. პირველ ეტაპზე გათვალისწინებული იქნება და უპირატესობა მიენიჭება უსახლკაროდ დარჩენილ ოჯახებს, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით - სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახი, მკვეთრად ან მნიშვნელოვნად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს და მათი ოჯახის წევრებს, ვეტერანებს, მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირებს, მათ არასრულწლოვან შვილ(ებ)ს, მრავალშვილიან ოჯახებს და ა.შ.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა მიხედვით კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში , მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე აუშენებს კოტეჯის ტიპის საცხოვრებელ სახლს. საცხოვრებელი სახლის ფართობი განისაზღვრება სულადობის მიხედვით.

8. მოსალოდნელი შედეგები:

პროგრამის ფარგლებში უსახლკაროდ დარჩენილი პირები (ოჯახები), უზრუნველყოფილი იქნებიან სათანადო საცხოვრისით, რის შედეგადაც გაუმჯობესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

9. პროგრამის განხორციელების მექანიზმი:

უსახლკარო ოჯახის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის უტყუარობის შესწავლა ხდება, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი კომისიის განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შეფასებით, რის საფუძველზეც მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „სახელმწიფოს შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელდება უსახლკარო ოჯახებისთვის კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლების პროექტირებისა და მშენებლობის შესყიდვა :

- ერთი ან/და სამი წევრისგან შემდგარ ოჯახს -3 ოთახიანი კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლი - ფართობით 35, 0 - 40,0 კვ.მ.
- ოთხი ან/და მეტი წევრისგან შემდგარ ოჯახს- 4 ოთახიანი კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლი- ფართობით 45,0 - 50,0 კვ.მ.

კოტეჯის ტიპის საცხოვრისის უზრუნველყოფისათვის უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა რიგითობა განისაზღვრება კომისიის მიერ პირის (ოჯახის) ქონებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობისა და სხვა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. პირს (ოჯახს) პრიორიტეტი ენიჭება წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, აგრეთვე უსახლკარობის გამომწვევი მიზეზებისა და გარემოებების გათვალიწინებით. თანაბარი რაოდენობის ხმების არსებობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებას.

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შეფასების პროცედურები და კრიტერიუმები:

უსახლკაროდ დარჩენილი მოქალაქე უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამისი წესის თანახმად დამტკიცებულ ყველა კრიტერიუმს, მათ შორის, რეგისტრირებული უნდა იყოს მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ამავე ტერიტორიაზე უნდა ფლობდეს მიწის ნაკვეთს (მიწის ნაკვეთი უნდა აკმაყოფილებს სამშენებლო პირობებს).

უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა შეფასება მოხდება შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მოქმედი დოკუმენტის საფუძველზე, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

ა) ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით:

ა.ა) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 30001-ზე ნაკლები ;

ა.ბ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 30001-დან 65000-ის ჩათვლით;

ა.გ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 65001-დან 100 000-ის ჩათვლით .

ბ) ოჯახის შემოსავალი:

ბ.ა) ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილი საარსებო მინიმუმის ნახევარზე ნაკლებია;

ბ.ბ) ოჯახის შემოსავლების ჯამი ოჯახის წევრთა რაოდენობის გათვალისწინებით დადგენილ საარსებო მინიმუმის ნახევარზე მეტია ან უტოლდება;

გ) არასრულწლოვან პირთა (18 წლამდე) რაოდენობა ოჯახში ;

დ) მძიმედ დაავადებული ოჯახის წევრი/წევრები:

დ.ა) მუდმივად მწოლიარე ;

დ.ბ) უჭირს დამოუკიდებლად გადაადგილება;

დ. გ) ონკოპათოლოგიური დაავადებით დაავადებული;

დ.დ) ფსიქიკური აშლილობით დაავადებული.

ე) ჯანმრთელობის მოშლით (ადამიანის საქმიანობის ნორმიდან გადახრა, რაც ხასიათდება თვითმომსახურების, გადაადგილების, ორიენტაციის, ურთიერთობის, თვითკონტროლის, სწავლისა და შრომითი საქმიანობის უნარის შეზღუდვით) გამოწვეული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ოჯახის წევრი ან წევრები:

ე.ა) მკვეთრად გამოხატული ;

ე.ბ) მნიშვნელოვნად გამოხატული ;

ე.გ) ზომიერად გამოხატული.

ვ) მარტოხელა მშობელი ან მარჩენალდაკარგული, რომელიც იძულებულია მარტომ იზრუნოს მცირეწლოვან შვილზე ან შვილებზე;

ზ) ხანდაზმული, რომელიც ახორციელებს მეურვეობას ან მზრუნველობას არასრულწლოვანი შვილ(ებ)ის ან შვილიშვილ(ებ)ის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისად;

თ) პენსიონერი, რომელიც ცხოვრობს მარტო ან ოჯახი შედგება ძირითადად (ნახევარზე მეტი) საპენსიო ასაკს მიღწეული პირებისაგან;

ი) ოჯახი, რომლის წევრი ან წევრები გარდაიცვალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში;

კ) სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან ახლად გათავისუფლებული ან პირობით მსჯავრდებული, რომელსაც არ აქვს საკუთრება და არც თავშესაფარი;

ლ) სახელმწიფო ზრუნვის სერვისიდან გასული:

ლ.ა) 18 წელს მიღწეული და ზემოთ 30 წლამდე პირი, რომელსაც არ აქვს საკუთრება

ან სხვა თავშესაფარი და არ აქვს შემოსავალი, დამატებით.
მ) ოჯახის წევრთა რაოდენობა;
ნ) არ აქვს დროებითი თავშესაფარი ნათესავებთან ;

11. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი ფართის მიღებით დაინტერესებული პირი ვალდებულია საკუთარი მოთხოვნა დააფიქსიროს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში განცხადების წარდგენის გზით. განცხადებას თან უნდა ერთოდეს:

ა) ბენეფიციარის ან/და მისი წარმომადგენლის განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოწმობის ასლი;

გ) განმცხადებელის ოჯახის წევრების დაბადებისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები;

დ) ცნობა საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარის ან/და ოჯახის მიწის საკუთრების შესახებ და მისი ან/და მისი ოჯახის წევრის სახელზე სხვა უძრავი ქონების არარსებობის შესახებ;

ე) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან განმცხადებლის და ოჯახის წევრების შემოსავლების შესახებ;

ვ) ინფორმაცია რეგისტრაციის ადგილის თაობაზე სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან;

ზ) ამ პროგრამის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, დამატებით უნდა წარმოადგინოს ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან;

თ) ამ პროგრამის მე-10 „დ“ და „ე“ პუნქტისქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით უნდა წარმოადგინოს:

თ.ა) შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობა;

თ.ბ) განმცხადებლის და ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, (ფორმა
№IV – 100/ა).

ი) ამ პროგრამის მე-10 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით უნდა წარმოადგინოს:

ი.ა) ცნობა მარტოხელა მშობლის სტატუსის შესახებ;

ი.ბ) მეუღლის გარდაცვალების და ქორწინების მოწმობის ქსეროასლები.

კ) ამ პროგრამის მე-10 პუნქტის "ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით უნდა წარმოადგინოს ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან მეურვეობის ან მზრუნველობის თაობაზე;

ლ) ამ პროგრამის მე-10 პუნქტის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დამატებით უნდა წარმოადგინოს ოჯახის წევრის/წევრების საპენსიო მოწმობის ასლები;

მ) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუქნტის „კ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით უნდა წარმოადგინოს სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გაცემული ცნობა სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შესახებ.

ნ) ამ წესის მე-5 მუხლის პირველი პუქნტის „ლ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დამატებით უნდა წარმოადგინოს ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან, ბენეფიციარის მიერ სახელმწიფო ზრუნვის სერვისიდან გასვლის შესახებ.

12. გარდა მე- 11 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტებისა, აღნიშნულ დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის , არქიტექტურისა და ურბანული განვითრების სამსახურის მიერ გაცემული დოკუმენტი- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების თაობაზე , შესაბამის ფოტომასალასთან ერთად.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა

(პროგრამული კოდი- 06 07)

2. **პროგრამის სახელწოდება:** ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა რომელიც ეხება-

- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით.
- კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

2. **პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი---10 000 (ათი ათასი) ლარი.**

3. **პროგრამის დაფინანსების წყარო:**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ბიუჯეტი .

4. **პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:**

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახური, სოციალური , ჯანმრთელობის , ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება.

6. პროგრამის მიზნები:

აღნიშნული პროგრამის მიზანია მესტიის მუნიციპალიტეტში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფა, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით მატერიალური დაფინანსების გაწევა.

7. პროგრამის შედეგები:

პროგრამის განხორციელების შედეგად, გარკვეულწილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

8 . დახმარების გაცემის წესი:

ფულადი დახმარების გაცემა და თანხის ჩარიცხვა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით შესაბამისი დაწესებულების პირად საბანკო ანგარიშზე .

9. პროგრამით მოსარგებლე პირთა (მომხმარებელთა) კატეგორია:

1. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევა- თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით

2. კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების , მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსება- თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

10. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამასახურის სოციალური , ჯანმრთელობის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ გამოვლენილი კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახები.

11. მოსალოდნელი შედეგი:

პროგრამის განხორციელების შედეგად: გარკვეუ წილად გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების სოციალური ფონი, გაუმჯობესდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების ბავშვების განათლების ხელმისაწვდომობა და ხარისხი, ასევე ხელი შეეწყობა უკიდურესად გაჭირვებული მოსახლეობის ფენის შემცირებას, გაუმჯობესდება დემოგრაფიული მდგომარეობა.